



# ონის მუნიციპალიტეტის მერია



## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ქ. ონი

N 1574  
01/07/2019

1574-02-4-201907011754



### „ონელობის“ სატენდერო პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების კონტროლისა და ინსპექტირების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მიმდინარე წლის 10 აგვისტოს „ონელობის“ ღონისძიების ჩატარების მიზნით ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს „ონელობის“ ღონისძიების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ჩატარების და შემდგომი პროცესების მართვის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ეკა მაისურაძე	მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
მანანა ჩაგელიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლევან შერაზადიშვილი	მერის წარმომადგენელი ქ. ონის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
სონია გუგეშაშვილი	მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ირინა გობეჯიშვილი	მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნინო მეტერეველი	მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მარიამ გობეჯიშვილი	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ღონისძიებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების კონტროლი და შესაბამისი აქტის შედგენა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

